საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA**

№ 3052-ე

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების
განვითარების ასოციაციის გამგეობის
თავმჯდომარეს გულიკო შოშიტაშვილს
ქ. თეთრიწყარო მუსხელიშვილის #11

09 12 2011

ქალბატონო გულიკო,

თქვენი 2011 წლის 22 ნოემბრის N01/02-45 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თეთრიწყაროს წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტით გათვალისწინებულია:

1. წყალსადენის მოწყობა გ. ბრწყინვალეს, დ. თავდადებულის, ოძელაშვილის, გარისის, ლესელიძეს, თბილისის, სამშვილდის, გორგასლის, წერეთლის, პუშკინის, გამსახურდიას, ბარნოვის ქუჩებზე, და რუსთაველის და დუმბაძის ჩიხებში;
2. "მენქალისის" წყაროს არსებული წყალმიმღებიდან "ვარხუნის" რეზერვუარამდე არსებული ამორტიზირებული მილსადენის მონაკვეთის გამოცვლა D=219 მმ ფოლადის მილით საერთო სიგრძით 10,989 მ.
3. "მებოცვრეობის" წყაროდან იგივე რეზერვუარამდე მილდენის გამოცვლას D=75-90მმ პოლიეთილენის მილით საერთო სიგრძით 6,150 მ;

აქვე გაცნობებთ, რომ სამშენებლო კონტრაქტით სარეაბილიტაციო სამუაშოების დასრულება დაგეგმილია 2012 წლის 2 მარტს.

რაც შეეხება რა კრიტერიუმებით და ვინ შეარჩია სარეაბილიტაციო ქუჩების ჩამონათვალი, სარეაბილიტაციო პროექტი გახდება თუ არა ქ. თეთრწყაროში წყალზე ხელმისაწვდომობის გარანტი გაცნობებთ, რომ საინჟინრო პროექტი შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დაკვეთით დამუშავებულია შპს-ის "მშენპროექტი" მიერ და ამ კითხვებით გთხოვთ მიმართოდ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

რამაზ ბლუაშვილი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საქართველო, თბილისი 0112, აღმაშენებლის გამზ. №150
ტელ.: (+995 32) 48 45 09/10/11/15

Municipal Development Fund of Georgia
#150, D. Agmashenebeli Ave., 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 48 45 09/10/11/15